29/12/2019

“ბიბლია განმარტებებით” – პროექტი, რომელიც ქართული საზოგადოებისთვის ღვთის სიტყვასთან მიმყვანებელ კარიბჭედ უნდა იქცეს

20 იანვარს გამოვა “ბიბლიის განმარტებების” V ტომი. პროექტმა სასულიერო პირთა, თეოლოგთა და ეკლესიის მრევლის დიდი ყურადღება დაიმსახურა. ამჯერად პროექტის შესახებ გვესაუბრება **არქიმანდრიტი დიონისე (გვიმრაძე)**, ქრისტიანული ფილოსოფიის დოქტორანტი, ასისტენტ-პროფესორი, “ბიბლიის განმარტებების” პროექტის კონსულტანტი:

გამომცემლობა “პალიტრა L”-ის მიერ ჟურნალ “კარიბჭის” სარედაქციო ჯგუფთან ერთად დაწყებული პროექტი — “ბიბლია განმარტებებით” უნიკალურია თავისი არსით, რადგან, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ქართულ ენაზე ბიბლიის სრული ტექსტის მუხლობრივი განმარტების პირველი გამოცემაა. აქამდე, ბიბლიის განმარტების მსურველთათვის ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ცალკეულ წმიდა მამათა რამდენიმე ბიბლიური წიგნის განმარტება; ასევე, თანამედროვე მკვლევართა მიერ მეცნიერულად დამუშავებული ბიბლიის ამა თუ იმ წიგნის, — უმეტესად სახარებათა და მოსეს ხუთწიგნეულის, — განმარტებები, რომელთა გაცნობაც ღრმა

საღვთისმეტყველო ცოდნას მოითხოვს.
ამავე დროს, ისიც გასათვალისწინებელია, რომ თანამედროვე ქართულ ენაზე გამოცემული ბიბლია თითქმის ყველა ოჯახშია, თუმცა მისი განმარტებების გარეშე გაცნობა ორ პრობლემას წარმოშობს: პირველი, მკითხველს უჭირს დიდი ხნის წინ დაწერილი ბიბლიის, განსაკუთრებით ძველი აღთქმის, შინაარსის წვდომა და გათავისება, რაც მას დაბრკოლებად ექცევა ბიბლიის გაცნობის გზაზე; ამის გამო, წმიდა წერილი, სამაგიდო წიგნად ქცევის ნაცვლად, წიგნების კარადაში უძრავ და საპატიო ადგილს იკავებს. მეორე — ბიბლიის ზოგიერთი მკითხველი, პირველი დაბრკოლების მიუხედავად, შეუპოვრად განაგრძობს ბიბლიის სამყაროს თვითნებურ კვლევას, რაც ხშირად მისი აღქმისა და გაგების იმდენად სპეციფიკურ მოდელს გვთავაზობს, რომ შემდეგ ძნელი ხდება მისი ეკლესიის გაგებასთან შეთავსება.
არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბიბლია ეკლესიის წიაღში შექმნილი და შეკრებილი წიგნია. ჯერ არსებობდა ეკლესია და მერე შეიქმნა ბიბლია. თავად ეკლესია სულიწმიდის გარდამოსვლით დაარსდა და მოციქულებმა, ისევე, როგორც ძველ აღთქმაში წინასწარმეტყველებმა, ბიბლია სულიწმიდის მოქმედებით დაწერეს. შესაბამისად, მხოლოდ მას შეუძლია ბიბლიის სწორად გაგება, ვინც სულიწმიდით ხელმძღვანელობს. სადაც არ არის ეკლესია, იქ არ არის სულიწმიდა, ხოლო, სადაც არ არის სულიწმიდა, იქ არც სულიწმიდით დაწერილი წიგნების წვდომაა შესაძლებელი. ამიტომ, ბიბლიის სწორად და მართებულად გაგება მხოლოდ ეკლესიის წიაღში ანუ ეკლესიის მიერ აღიარებულ მამათა განმარტებების მიხედვითაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, განმარტების პროცესში ყოველგვარი თვითნებობა ეკლესიის სწავლებისგან ანუ ჭეშმარიტებისგან აცდენის დიდ საფრთხეს შეიცავს.
უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიის განმარტებას გააჩნია ძირითადად ორგვარი მიმართულება: ერთი, ბუკვალური ანუ პირდაპირი განმარტება, რომელიც თავის თავში ტექსტის ისტორიულ და ფილოლოგიურ შესწავლას გულისხმობს; და მეორე, არაბუკვალური, ანუ სულიერი განმარტება, როდესაც ტექსტის მიღმა, ისტორიულ-ფილოლოგიური შინაარსის გარდა, ღრმა და დაფარული აზრია გახსნილი.
აღნიშნულ გამოცემაში ორივე მიმართულებაა გამოყენებული, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს არამხოლოდ ბიბლიაში გადმოცემული ამბებისა თუ პიროვნებების შესახებ ისტორიულად დაზუსტებული და სანდო ინფორმაცია მიიღოს, არამედ ის ზნეობრივი, სიმბოლური თუ საწინასწარმეტყველო მნიშვნელობები გაიაზროს, რომლებიც ბიბლიის ტექსტშია მოცემული. უფრო მეტიც, ბიბლიის ტექსტის მნიშვნელოვანი მუხლების განმარტებები ხშირად წმიდა მამებისეული ციტატებითაა გამდიდრებული, რაც ერთი-ორად ზრდის აღნიშნული გამოცემის ფასეულობას.
აქვე აუცილებლად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ “ბიბლია განმარტებებით”, როგორც თავად ამ წიგნის შესავალშია აღნიშნული, არ ითვალისწინებს თანამედროვე კრიტიკულ მიდგომებსა და თვალსაზრისებს. ასევე, გამოცემა, მისი მიზანდასახულობიდან გამომდინარე, არ არის დაფუძნებული სამეცნიერო ნაშრომებისთვის დამახასიათებელ სრულ სტანდარტებსა და ნორმებზე, რაც სავსებით ბუნებრივი და გასაგებია. აქედან გამომდინარე, მისი მკაცრი მეცნიერული კრიტიკა ყოველგვარ აზრს მოკლებულია;

თუმცაღა, კრიტიკა ყველა შემთხვევაში აუცილებელი და სასარგებლოა, რადგან მომავალი გამოცემების დროს გათვალისწინებულ და ჩასწორებულ იქნას ყველა ის უნებურად დაშვებული შეცდომა, რაც განსაკუთრებით, მრავალტომეული წიგნების პირობებში, ბუნებრივი და გარდაუვალია.
შესაბამისად, დასკვნის სახით, შეიძლება თამამად ითქვას, რომ “პალიტრა L”-ის მიერ წამოწყებული პროექტი, ბიბლიის შესწავლის თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანი და წარმატებული ინიციატივაა, რაც, ერთი მხრივ, მკითხველს ბიბლიის სამყაროსთან აზიარებს და მეორე მხრივ, ბიბლიის სამომავლო კვლევების საწინდარს წარმოადგენს. “ბიბლია განმარტებებით” ბიბლიის შესწავლის მსურველთათვის საუკეთესო პირველად ქართულ სახელმძღვანელოს წარმოადგენს.

როგორც ჟურნალი “კარიბჭე” წლების განმავლობაში მორწმუნეთათვის ღმერთთან მისასვლელი ინტელექტუალური კარიბჭის ფუნქციას კისრულობს, ასევე, ვფიქრობ, “ბიბლია განმარტებებით” ქართული საზოგადოებისთვის ღვთის სიტყვასთან მიმყვანებელ კარიბჭედ უნდა იქცეს.

— karibche.ambebi.ge